

**სოფიკო ჭაავა**  
**ფილოლოგიის დოქტორი**  
**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის**  
**სამშვიდობო განათლების ცენტრის მკვლევარი**

**აფხაზები დედა ენის, მეორე ენისა და წერა-კითხვის ცოდნის მიხედვით**  
**(XX საუკუნის 20-იანი წლები)**

1922 წლის საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბიულეტენში მოცემულია ცნობები 1886, 1897 და 1917 წლების საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, კერძოდ: 1886 წლის ცნობები ამოღებულია საოჯახო სიებიდან, 1897 წლის მონაცემები - სრულიად რუსეთის მოსახლეობის საყოველთაო აღწერიდან, ხოლო 1917 წლის ცნობები - სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო და საადგილმამულო აღწერიდან.

1886 და 1917 წლების სტატისტიკურ მონაცემებში აღნუსხულია აფხაზეთის მოსახლეობაც, მათ შორის ოთხი მაზრის: **გუდაუთის, გუმისტის** (გუმისტის - ს. ჭ), **კოდორისა და სამურზაყანოს** მაზრების მიხედვით, ხოლო 1897 წლის აღწერაში მხოლოდ აფხაზეთის საერთო რაოდენობრივი მაჩვენებელია წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ზემოდასახელებულ აღწერებში არ ჩანს აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული განაწილება. მიუხედავად ამისა, მაინც მნიშვნელოვანია აღნიშნული პერიოდის აფხაზეთის მოსახლეობის საერთო მაჩვენებლების დაზუსტება.

1886 წელს აფხაზეთში ცხოვრობდა 67 846 ადამიანი, 1897 წელს - 106 179, ხოლო 1917 წელს - 145 612. 1886 წლიდან 1897 წლამდე (10 წლის განმავლობაში) მოსახლეობა 38 330 ადამიანით გაიზარდა, 1897 წლიდან 1917 წლამდე კი (20 წლის განმავლობაში) – 39 433-ით. მაშასადამე, ამ სტატისტიკური მონაცემებით აფხაზეთის მოსახლეობის ზრდის დინამიკა თვალსაჩინოა.

**ცხრილი N 1. აფხაზეთისა და მაზრების მოსახლეობის რაოდენობა სამი აღწერის მიხედვით**

	<b>1886</b>	<b>1897</b>	<b>1917</b>
<b>აფხაზეთი</b>	67 846	106 179	145 612
<b>გუდაუთის მაზრა</b>	14 887		28 069

გუმისტის მაზრა	6 609	ცნობები	47 346
კოდორის მაზრა	15 821	მაზრობლივ	27 996
სამურზაყანოს მაზრა	30 529	არ არის	42 201

**ცხრილი N 2. სოფლის მოსახლეობა სამი აღწერის მიხედვით**

სოფლები	1886	1897	1917
აფხაზეთი	66 919	98 181	13 1235
გუდაუთ. მაზრა	14 887	ცნობები	25 106
გუმის. მაზრა	61 97	მაზრობლივ	37 347
კოდორ. მაზრა	15 306	არ არის	26 581
სამურზ. მაზრა	30 529		42 201

(ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბიულეტენი N3-4, ტფილისი, 1922 წ. გვ. 3-4).

1886 წელს მაზრებს შორის ყველაზე მეტი ადამიანი მითითებულია სამურზაყანოში - 30 529, ყველაზე ცოტა - გუმისთის მაზრაში - 6 609.

ძალიან მცირეა აფხაზეთის ქალაქების მოსახლეობა. 1886 წელს სულ ქალაქებში ცხოვრობდა 927 კაცი, მათ შორის ოჩამჩირეში - 515, ხოლო სოხუმში - 412. თუმცა 30 წლის მანძილზე ქალაქის მოსახლეობა მკვეთრად გაიზარდა და 1917 წლისთვის 14 377 სულს შეადგენდა.

**ცხრილი N 3. ქალაქების მოსახლეობა**

ქალაქები	1886	1897	1917
აფხაზეთი	927	7 998	14 377
გუდაუთა		ცნობები მაზრობლივ	2 963
ოჩამჩირე	515	არ არის	1 415
სოხუმში	412	7 998	9 999

(ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბიულეტენი N3-4, ტფილისი, 1922 წ. გვ. 5)

ამავე სტატისტიკური ბიულეტენის 1917 წლის მონაცემებში მითითებულია ბათომის (ბათუმის - ს.ჭ.) საერთო მოსახლეობა, სულ 53 862 კაცი. მათ შორის,

კონტრიმის უბანში აღრიცხულია 463 (0, 8%) აფხაზი (ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბიულეტენი N 3-4, ტფილისი, 1922 წ. გვ. 6.)

XX საუკუნის 20-იან წლებში ჩატარებულ მოსახლეობის საყოველთაო აღწერებში მოცემულია სტატისტიკური ცნობები აფხაზთა რაოდენობის, მათი დედაენის, მეორე ენისა და განათლების ცენზის შესახებ.

აფხაზი მოსახლეობის იძულებითმა ემიგრაციამ (მუჰაჯირობამ) თურქეთში, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო, გამოიწვია აფხაზების რაოდენობის მკვეთრი შემცირება. შემდგომშიც აფხაზეთის გაძლიერებულმა კოლონიზაციამ დიდად განაპირობა აფხაზების ხვედრითი წილის კლება და არამკვიდრი მოსახლეობის (სომხების, რუსების, ბერძნების და ა.შ.) მნიშვნელოვანი ზრდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესები გეგმაზომიერად ხორციელდებოდა, რის შედეგადაც აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა XIX საუკუნის ბოლოსთვის მრავალფეროვანი გახდა.

„აფხაზეთიდან დაახლოებით 30 ათასი აფხაზი გადასახლდა თურქეთში. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ გადასახლებულ აფხაზთა დიდი ნაწილი უკან დაბრუნდა. მაგალითად, თურქეთში ყველაზე მასობრივი გადასახლება მოხდა 1877-1978 წლებში - წავიდა დაახლოებით 30 ათასი კაცი, მაგრამ მუჰაჯირების დაახლოებით ნახევარი მალე უკან დაბრუნდა.

პროფ. შ. ინალ-იფა მუჰაჯირთა შთამომავალი აფხაზების რაოდენობას თურქეთში შემდეგნაირად განსაზღვრავს: ზოგიერთები ამბობენ, რომ თურქეთში ამჟამად აფხაზების რაოდენობა 300 ათასზე ნაკლები არაა, ხოლო ზოგიერთების აზრით - 250 ათასია. , რომლებიც თურქეთში ხანგრძლივად ცხოვრობენ, აღნიშნავენ, რომ თურქეთში აფხაზები უფრო მეტია, ვიდრე ჩერქეზები. შ. ინალ-იფა ასკვნის, რომ ამჟამად თურქეთში ცხოვრობს არა ნაკლები 100 ათასი აფხაზისა“ (ა. თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბილისი, 1993 წელი). ეს ფაქტი სულაც არ არის მოულოდნელი, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მაჰმადიან მოსახლეობას ქრისტიანებზე უფრო დიდი მატების ტემპი აქვს.

**ცხრილი N 4.**

აფხაზი	აფხაზეთის მოსახლეობა სულ	სულ საქართველოში	მათ შორის აფხაზეთში
1897	106 179	59 481 3, 1 %	58 697 55, 3 %
1917	145 612	40 856 1, 7%	40 393 27, 7%
დაბა	-	2 573	2 063

%		0, 4	7, 1
სოფელი	-	54 274	53 855
%		2, 6	34, 3

1897 წელს საქართველოში სულ ცხოვრობდა 59 481 აფხაზი და მოსახლეობის საერთო რაოდენობის 3%-ს შეადენდა. ამ პერიოდში აფხაზეთში ცხოვრობდა 106 179 ადამიანი და მათ შორის აფხაზი იყო 58 697 კაცი, მთელი მოსახლეობის 55% (სოხუმში - 144 აფხაზი), ხოლო 784 აფხაზი დანარჩენ საქართველოში ბინადრობდა, კერძოდ: აჭარაში აღწერილია 753 აფხაზი, ბათუმში - 58, თბილისში - 12 და ფოთში - 19.

ისტორიკოსი ბეჟან ხორავა თავის სტატიაში „ეთნიკური პროცესები აფხაზეთში (უძველესი დროიდან დღემდე)“ აღნიშნავს, რომ 1897 წლის სრულიად რუსეთის მოსახლეობის პირველი აღწერის მიხედვით აფხაზეთში ცხოვრობდა 39 600 აფხაზი (წყარო: Первая, 1905 \_ Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897г. СПб., 1905) (<https://smr.gov.ge/uploads/Files/afxazeti.pdf>). 1931 წელს გამოცემულ სტატისტიკურ კრებულში კი აღნიშნულია, რომ 1897 წელს აფხაზეთში ცხოვრობდა 58 697 აფხაზი ანუ დაახლოებით 19 000 აფხაზით მეტი. ამ ორი სხვადასხვა წყაროს მონაცემების შედარებითაც ჩანს, რომ საბჭოთა პერიოდში მაქსიმალურად ცდილობდნენ, ხელოვნურად გაეზარდათ აფხაზთა რაოდენობის მაჩვენებლები.

1917 წელს საქართველოში სულ 40 856 (1,7%), აფხაზია აღრიცხული, მათ შორის აფხაზეთში - 40 393 (27, 7%), ხოლო ბათუმში - 463 (საბჭოთა საქართველოს 10 წელი, 1921-1931, ს. ს. რ. სახელმწიფო საგეგმო კომისია, სტატისტიკური კრებული, ტფილისი, 1931 წელი, გვ. 23).

საინტერესოა 1921 წელს გამოცემული „სტატისტიკური მოამბის“ პირველ ნომერში განთავსებული ცნობებიც, რომელთა მიხედვითაც 1917 წელს ქალაქ სოხუმში მხოლოდ 174 აფხაზი ბინადრობდა, გუდაუთაში - 148, ოჩამჩირეში კი - 156.

მამასადამე, დასახელებული სტატისტიკური გამოცემის მიხედვით, 1917 წელს აფხაზეთის ქალაქებში **აფხაზების წილი მხოლოდ 3,3% იყო.** (საქართველოს სტატისტიკური მოამბე, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანო, ტფილისი, ენკენისთვის, N1, 1921 წელი, გვ. 26).

1922 წლის მოსახლეობის საქალაქო აღწერით, ქალაქ სოხუმის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 17 426 სულს შეადგენდა, მათ შორის აფხაზი იყო 426, აფხაზეთის ქალაქის ტიპის დასახლებებში სულ 1 067 აფხაზია დასახელებული (სტატისტიკური კრებული 1922-1926, ტფ. 1926, გვ. 18-25).

1922 წელს აფხაზეთის სოფლებში სულ აღრიცხულია 35 749 აფხაზი, ანუ აფხაზეთის მოსახლეობის 24,5%. მამასადამე, ქალაქების მოსახლეობის ჩათვლით კი აღნიშნულ წელს აფხაზეთში სულ 37 242 აფხაზს უცხოვრია.

როგორც ვხედავთ, 1922-1923 წლების მოსახლეობის აღწერების მიხედვით აფხაზების დიდი ნაწილი აფხაზეთის სოფლებში ცხოვრობდა, ხოლო ქალაქებში მათი რიცხვი ძალიან მცირე იყო.

**ცხრილი N 5.**

1922-1923 წლები	საქართველოში სულ	მათ შორის აფხაზეთში სულ	აფხაზეთის სოფლებში	აფხაზეთის დაბებში	სოხუმში
სულ მოსახლეობა			145 619	-	17 426
აფხაზი	37 119	37 242	35 749	1 067	426

1927 წლის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულია აფხაზეთის სსრ-ს სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარის ნესტორ ლაკობას წერილი „საბჭოთა აღმშენებლობა აფხაზეთში“, რომელიც შედგენილი იყო საქართველოს საბჭოების ყრილობისთვის. ნ. ლაკობას მოხსენებაში აღწერილია 1927 წლისთვის აფხაზეთში არსებული ენობრივი და ეთნიკური ვითარება. ავტორი ანგარიშის პირველ ნაწილში განმარტავს, რომელია ძირითადი ეროვნებები აფხაზეთში და ხაზს უსვამს იქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების სიმრავლეს. მისი ინფორმაციით:

“უკანასკნელი (საკავშირო) აღწერის წინასწარი ცნობების მიხედვით, აფხაზეთში ორივე სქესის მცხოვრებთა რიცხვი უდრის 200. 000 ერთეულს. ამ 200.000 სულიდან აფხაზები ძლივს აღწევენ 57-60 ათასამდე. ყოველშემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ საშუალოდ აფხაზები 60 000 სულს შეადგენენ. რატომ ვსთქვათ ძლივს-ძლივობით? იმიტომ, რომ რამდენიმე ათასი კაცი თავს აფხაზად სთვლის, თუმცა ისინი ლაპარაკობენ მეგრულად”.

აფხაზეთისა და აჭარის გარდა, მცირე რაოდენობით აფხაზები საქართველოს სხვა ქალაქებშიც ცხოვრობდნენ, კერძოდ, 1897 წლიდან 1930 წლამდე თბილისში აფხაზთა რიცხვი 12 კაციდან 114-მდე გაიზარდა. ქუთაისში კი პირიქით, იმავე პერიოდში მათი რაოდენობა 22 კაციდან 11-მდე შემცირებულა. ასეთივე ვითარებაა ფოთშიც - 1897 წელს 19 აფხაზი იყო, ხოლო 1930 წელს - არცერთი. 1926 წელს 1 აფხაზი აღმოჩნდა ჭიათურაშიც.

**ცხრილი N 6. აფხაზები ქალაქების მიხედვით.**

ქალაქები	1897	1917	1922	1926	1930
ტფილისი	12	-	71	72	114
ქუთაისი %	22 0,1%	-	4	1	11
ბათომი	58 0,2%	-	225 0,4%	423 0,9%	424 0,8%
სოხუმი	144 1,8%	174 1,7%	426 2,4%	658 3,4%	1083 4,4%
ფოთი	19 0,3%		2	3	
ჭიათურა				1	

საქართველოს ეროვნული არქივის საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ფონდში დაცულია ერთი საყურადღებო დოკუმენტი სათაურით: „აფხაზეთის სსრ-ში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის გაწეული მუშაობის შესახებ“, რომლის ტექსტი შედგენილია 1930 წლის იანვარში. სათაურის ქვემოთ მიწერილია: „მასალები ამხ. ჭანბას თანამოხსენებისათვის სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭოში. 1930 წლის იანვარი“ [იგულისხმება სსრ-ს ცაკის ეროვნებათა საბჭო - ს.ჭ.]. დოკუმენტის ავტორია აფხაზი მწერალი და ფუნქციონერი, იმ დროს აფხაზეთის სსრ ცაკის თავმჯდომარე სამსონ ჭანბა.

ს. ჭანბას მოხსენებაში წარმოდგენილია ცხრილი აფხაზეთის სსრ-ს ეროვნული შემადგენლობის შესახებ, რომელშიც დასახელებული არიან შემდეგი ეთნოსები: აფხაზები, ქართველები, სომხები, ბერძნები, თურქები, რუსები, "სვანები" და სხვა. აღნიშნული მონაცემებით 1929 წელს აფხაზების უმრავლესობა ცხოვრობდა ქართველებთან ერთად ოჩამჩირესა და კოდორის მაზრაში, ხოლო ქართველებთან და სომხებთან ერთად გაგრისა და გუდაუთის მაზრებში. ქალაქებში თითქმის თანაბარი რაოდენობით იყვნენ რუსები (28,4%) და ქართველები (27,6%), ხოლო ყველაზე ცოტანი იყვნენ - აფხაზები (6,6%) და თურქები (1,4%). სოფლებში დაახლოებით თანაბრად ნაწილდებოდნენ ქართველები (34,1%) და აფხაზები (32,2%), ხოლო სოფლებში რუსი (4,8%) ძალიან ცოტა იყო [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640: 25 იმ]. ის ფაქტი, რომ აფხაზეთის სოფლების უმრავლესობას ქართველები და აფხაზები შეადგენდნენ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მხარის ძირითადი მოსახლეობა ქართველები და აფხაზები იყვნენ. რუსები და სხვა ეთნოსები კი ქალაქებში მოგვიანო პერიოდში დასახლდნენ შედარებით უკეთესი სოციალური პირობების გამო.

	1886	1897	1917	1922-1923	1926
--	------	------	------	-----------	------

საქართვებ.		59 481 3,1%	40 856 1,7%	37 119	56 847 2,2%
აფხაზეთი	28 320 41,2	58 697 55,3%	40 393 27,7%	37 242	55 918 30,1%
აჭარა		784	463		

ამრიგად, ჩვენ მიერ მოძიებული აფხაზთა რაოდენობის ამსახველი სტატისტიკური მასალების შეჯამებით ირკვევა, რომ:

1. 1886 წლიდან 1897 წლამდე აფხაზების რიცხვი თითქმის გაორმაგდა, რაც 10 წლის ინტერვალისთვის საკმარისზე დიდი მაჩვენებელია და საეჭვოს ხდის ამ ცნობებს;
2. 1897 წლიდან 1922 წლამდე, 25 წელიწადში აფხაზების ოდენობა დაახლოებით 20 000-ით შემცირდა, რაც ასევე არაკანონზომიერი ჩანს;
3. შემდეგი წლების განმავლობაში კი აფხაზების სტატისტიკამ თანმიმდევრულად იმატა.

1923 წლის სტატისტიკურ კრებულში განმარტებულია ის მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენეს მოსახლეობის ეროვნებისა და სალაპარაკო ენის მიხედვით აღწერისას, კერძოდ:

„ეროვნება და სალაპარაკო ენა 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერის საკომლო ფურცელში დაკავშირებული იყო ოჯახის უფროსთან და არა თვითეულ ინდივიდთან, ასე რომ აღწერამ მოგვცა ოჯახის უფროსთა რიცხვი ამა თუ იმ ეროვნებით და სალაპარაკო ენით. მაგრამ დამუშავების დროს მეკომურის ეროვნება და სალაპარაკო ენა პირობით გაავრცელეთ მისი ოჯახის დანარჩენ წევრებზედაც იმ რწმენით, რომ ჩვენი სოფლის მოსახლეობის პირობებში ოჯახის დანარჩენი წევრებიც თითქმის ყოველთვის, ამ ორ საკითხში მაინც, იმავე ნიშნულთა მატარებელი უნდა ყოფილიყვნენ, რომელიც აღრიცხულია ოჯახის უფროსის სახით. ფორმალურად ასეთი სისტემის მიღება, რა თქმა უნდა, ინდივიდუალური აღრიცხვის პრინციპის დარღვევაა, მაგრამ რეალურად, ამ კონკრეტულ ვითარებაში, მას არ შეეძლო უარყოფითი გავლენა მოეხდინა ამ კითხვის აღრიცხვაზე და შედეგების ღირსებაზე“ (სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, ნაწილი II, დემოგრაფია, ნაკვეთი I. სოფლობრივი ჯამები. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო, თფილისი, 1926 წელი. გვ. 11. ხაზგასმა ჩვენია - ს.ჭ.).

როგორც ვხედავთ, სტატისტიკოსებმა აღიარეს, რომ ამ მეთოდის გამოყენებით ინდივიდუალური აღრიცხვის პრინციპი დაარღვიეს, მაგრამ არ დააზუსტეს, რატომ შეარჩიეს ასეთი მიდგომა. ალოგიკურია, რომ ყველა შემთხვევაში, ოჯახის უფროსის

ეროვნების ყოფილიყო ოჯახის ყველა წევრი და ამავდროულად, მისი სალაპარაკო ენა სცოდნოდა ასევე ყველა წევრს. ამ აღრიცხვით არ გამოჩნდებოდა შერეული ქორწინების ოჯახის წევრთა ეთნიკური და ენობრივი მაჩვენებლები, რადგან ასეთი ტიპის ოჯახებში შესაძლოა სხვა ეროვნების დედის, ან ბებუის ენა სცოდნოდათ შვილებს და/ან შვილიშვილებს. გარდა ამისა, თუნდაც ერთი და იმავე ეროვნების ოჯახის წევრთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია ოჯახის უფროსის - ბებუის, ან ბაბუის სალაპარაკო ენა არ დამთხვეოდა შვილების, ან მომდევნო თაობების ენობრივ კომპეტენციას. მიუხედავად აღნიშნული მეთოდური ხარვეზისა, არ არსებობს იმ წლის უფრო ზუსტი და მეთოდოლოგიურად გამართული აღრიცხვის შედეგები, ამიტომ მაინც მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის ცნობები, რომლებიც 1923 წლის სტატისტიკურ კრებულშია მოცემული.

1923 წლის მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამებს სქოლიოს სახით დართული აქვს ასევე ინფორმაცია არანაციონალურ ენებზე მოლაპარაკე სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა რაოდენობის შესახებ. სტატისტიკურ კრებულებში ასეთი მონაცემები, რომლებიც დიდ რაოდენობრივ მაჩვენებლებს არ ასახავს, ძირითადად, „**დანარჩენი ენების ან დანარჩენი ეროვნებების**“ კატეგორიაშია განთავსებული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს წესი დარღვეულია და ერთი ადამიანის ეთნიკური და ენობრივი კუთვნილებაც კი ცალკეა გამოყოფილი. აღნიშნული ცნობა იმითაც არის საინტერესო, რომ მითითებულია იმ სოფლების დასახელებებიც, სადაც ეს ადამიანები ბინადრობდნენ, კერძოდ (ზოგი სოფლის სახელი დამახინჯებულია):

**„აფხაზურად ლაპარაკობს:** ქართველი ავერკაში - 6, ტარბაში - 5, ახვაჯაში - 5, ახცში - 20, ალგიტაში - 19, აძლაგარაში - 3, აფხაზების ბომბორში - 28, მუგუძირხვაში - 4, ბაჩაში - 2, კაკუბარხვაში - 8.

**აფხაზების საერთო რიცხვიდან არანაციონალურ ენაზე ლაპარაკობს 7.** მათ შორის: ა) რუსულად - აფშტანში - 2, ოსმალურად - გამკოგრიგვერაში - 5; **დანარჩენი 16 681 ლაპარაკობს აფხაზურ ენაზე.**

**ოსმალთა საერთო რიცხვიდან აფხაზურ ენაზე ლაპარაკობს 87;** ამათგან: არიოტაში - 4, ცუშბაიში - 6, ხაბუში - 8, ქვემო აბგარაში - 15, არიუტაში - 8, ქვემო თაენიხაში - 9, ტერზილდში - 1, აჯიმჩაგრაში - 2, აფცხვაში - 10, კურხნისაში - 5, ჯაბნაში - 2, ათეი-გუგურხვაში - 4, ეშირხვაში - 6, ქვანანაში - 7; **დანარჩენი 69 ლაპარაკობს ოსმალურად.**

**აფხაზების საერთო რიცხვიდან არანაციონალურ ენაზე ლაპარაკობს 75;** მათ შორის: ა) რუსულად - დრანდაში - 2, ბ) ქართულად - ზედა გურიფსაში - 7, აკანა-კელასურში - 13, ბარჯაში - ?, დანარჩენი **1268 ლაპარაკობს აფხაზურ ენაზე.**

ლატში - აფხაზურად პალარაკობს 1 სომეხი.

ოსმალთა საერთო რიცხვიდან აფხაზურად ლაპარაკობს ლატში - 12, დანარჩენი 146 ლაპარაკობს ოსმალურად.

არანაციონალურ ენაზე ლაპარაკობს 141 ქართველი. მათ შორის აფხაზურად - ამიბჯაში - 20, ბესლახუბაში - 53, აკვასკაში - 19, დანარჩენი 5 279 ლაპარაკობს ქართულ ენაზე.

აფხაზების საერთო რიცხვიდან ქართულად ლაპარაკობს 19.

ოსმალთა საერთო რიცხვიდან აფხაზურად ლაპარაკობს 21 (მათ შორის: აფხაზების ატარუში - 3, ჭილოვში - 3).

აფხაზების საერთო რიცხვიდან ქართულად ლაპარაკობს თაგილონ-ნაბაკევი - 8, ფიჩორში - 4, გუმურიშში - 2, ოქუმში - 4, ჩხორტოლში - 29, დანარჩენი 69 ლაპარაკობს აფხაზურ ენაზე“ (სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, ნაწილი II, დემოგრაფია, ნაკვეთი I. სოფლობრივი ჯამები. თფილისი, 1926 წელი. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო. დამატება, არანაციონალურ ენაზე მოლაპარაკეთა ნაწილი მოსახლეობისა, გვ. 193-194.).

მამასადამე, ზემოდასახელებული მონაცემებით არანაციონალურ, ანუ სხვისი ეროვნების ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა ასე გადანაწილდა:

აფხაზურად ლაპარაკობდა 187 ქართველი, 120 - ოსმალთა და 1 სომეხი.

ქართულად - 67 აფხაზი.

რუსულად - 4 აფხაზი.

ოსმალურად - 215 ოსმალთა.

აფხაზურად - 18 018 აფხაზი.

ამ მინაწერებიდანაც ჩანს, 1923 წლისთვის აფხაზებმა აფხაზურის გარდა, ნაკლებად იცოდნენ სხვა ენები, ქართულად საუბრობდა 67 აფხაზი და რუსულად - მხოლოდ 4.

თვით აფხაზების გარდა, აფხაზური იცოდნენ ქართველებმა, მაგ., აფხაზურად საუბრობდა 187 ქართველი და 1 სომეხი. ე.ი. 188 კაცის გარდა აფხაზური არ იცოდა სხვა ეროვნების არცერთმა წარმომადგენელმა. ამავდროულად ჩანს, რომ თურქეთიდან დაბრუნებული აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები ფლობდნენ აფხაზურ ენას, მათი მცირე ნაწილი მხოლოდ აფხაზურად ლაპარაკობდა. გაუგებარია, არანაციონალურ

ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა კატეგორიაში რატომ აღინიშნა 18 018 აფხაზი, რომლებიც თავიანთი ეროვნების ენას ფლობდნენ?!

**ცხრილი N 7. აფხაზების რაოდენობა 1926 წელს, მათი დედა ენა.**

აფხაზები	სულ	აფხაზური	ქართვ. ენებს	საკუთრივ ქართულს	სულ რუსულს	სულ ოსმალურს
სულ	<b>55 918</b>	47 053	4 904	19	73	17
დაბა-ქალ.	2 063	1 859	120	16	64	7
სოფლები	53 855	45 194	4 843	3	9	10

1926 წლის სტატისტიკური მონაცემებით, მთელ საქართველოში აფხაზურს დედაენად მიიჩნევდა 48 057 აფხაზი (მამაკაცი - 24 611 დედაკაცი - 23 446), მათი უმრავლესობა - 47 307 ცხოვრობდა აფხაზეთში, კერძოდ, აფხაზეთის სოფლებში - 45 361, დაბა-ქალქებში - 2 228, აჭარაში - 642 და ტფილისში - 59. მეგრული დედა ენად დაასახელა 4 944 აფხაზმა, რუსული - 73-მა, საკუთრივ ქართული - 19-მა და ოსმალური (თურქულს - ს.ჭ.) - 17-მა.

(მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, განყოფილება 1, ეროვნება, დედა ენა - წლოვანება- წერა-კითხვის ცოდნა, ა.ს.ფ.ს.რ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო, ტფილისი, 1929 წ.).

**ცხრილი N 8. აფხაზეთისა და აჭარის მაზრებში მცხოვრები აფხაზები დედაენის მიხედვით, 1926 წელი:**

მაზრები	მოსახლეობა სულ	აფხაზები	აფხაზური დედაენად	აფხაზურს არ მიიჩნევს დედაენად
სოხუმის	76 197	2 189	2 115	74
გალის	50 086	12 963	5 295	7 668
გუდაუთის	30 800	17 866	17 926	60
კოდორის	33 086	21 762	20 805	957
გაგრის	9 947	1 158	1 166	8
ბათომის (ჭოროხის)	63 834	772	647	125

(მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, განყოფილება 1, ეროვნება, დედა ენა - წლოვაება- წერა-კითხვის ცოდნა, ა.ს.ფ.ს.რ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო, ტფილისი, 1929 წ.).

**ყველაზე მეტი აფხაზი, რომლებმაც აფხაზური დედაენად დაასახელეს ცხოვრობდნენ კოდორსა (20805) და გუდაუთაში (17926), მათზე ბევრად ნაკლებნი ბინადრობდნენ სოხუმის (2115), გაგრისა (1166) და ბათუმის (647) მაზრებში.**

დასახელებულ ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის ყველაზე განსხვავებული ენობრივი ვითარებაა გალის მაზრაში, სადაც **12 963 აფხაზიდან საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლებმა - 5 295 კაცმა მიიჩნია აფხაზური მშობლიურ ენად, ხოლო უფრო მეტმა - 7 668 აფხაზმა აფხაზური არ აღიარა მშობლიურ ენად.** შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ეს ადამიანები იყვნენ გააფხაზებული ქართველები (მეგრელები), რომლებმაც სხვა ეთნიკური იდენტობა გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური მიზეზების გამო მიიღეს. ზემოაღნიშნული 7 668 გალელის რაოდენობა, რომლებმაც აფხაზური მშობლიურ ენად არ დაასახელეს, დაახლოებით ემთხვევა ამავე კრებულში განთავსებული სხვა სტატისტიკური ცხრილის მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც 4 944-მა აფხაზმა მეგრული დედა ენად მიიჩნია. აქ უპრიანია გავიხსენოთ ნ. ლაკობას განცხადება, რომ მოსახლეობის 1926 წლის აღწერის დროს ბევრი იყო ისეთი აფხაზი, ვინც დედაენად მეგრულს ასახელებდა. ვვარაუდობთ, რომ ესენი სინამდვილეში სამურზაყანოს ქართველი (კერძოდ, მეგრელი) მოსახლენი იყვნენ და ისინი აფხაზთა საერთო რაოდენობისა და მხარის მოსახლეობაში მათი წილის გასაზრდელად მიაწერეს აფხაზებს, ანუ საქმე რეალურად გვაქვს მონაცემების მასობრივ გაყალბებასთან. ამ ვარაუდს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მომდევნო აღწერების მონაცემებში ეს „აფხაზები“ გალის რაიონში აღარსად ჩანან და აქაური მოსახლეობის საერთო რაოდენობაში აფხაზთა საერთო წილი უმნიშვნელოა. არც გალელ მოსახლეობაშია ცნობილი რაიმე იმის შესახებ, რომ ოდესმე ამდენ აფხაზს ეცხოვროს მათ გვერდით.

წარმოვადგენთ აფხაზეთის მაზრებში არსებული იმ სოფლების ჩამონათვალს, სადაც ყველაზე მეტმა აფხაზმა დედაენად აღიარა აფხაზური ენა (ვინარჩუნებთ დოკუმენტის ტექსტში წარმოდგენილ ტოპონიმთა მართლწერას):

1. სოხუმის მაზრა: ეშერი;
2. გალის მაზრა: ბედია 1, რეკა, ბედია 2, ჩხორთოლი, აგუ-ბედია;
3. გუდაუთის მაზრა: ლიხნი, აბგარბუკი, ჯირხვაი, აჭანდარა, ოთხარა, დურიფში;
4. კოდორის მაზრა: გუფი, ჭილოუ, ტყვარჩელი, მოქვი, ჯგერდა, ფოქვეში, კვიტაული;
5. გაგრის მაზრა: კალდახვარა.

**აფხაზები წერა-კითხვის ცოდნის დონის მიხედვით:**

1922-1923 წლებში წერა-კითხვის მცოდნე იყო აფხაზების 7%, ხოლო 1926 წელს 11,2%. განათლების დაბალ დონეს განაპირობებდა ის, რომ იმ პერიოდის სოფლებში არ ფუნქციონირებდა სკოლები, ხოლო ქალაქში სწავლა მოსახლეობის უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომი არ იყო.

**ცხრილი N 9. აფხაზები წერა-კითხვის ცოდნის დონის მიხედვით**

აფხაზები	მამაკაცი	დედაკაცი	სულ
1922-23			7,0
1926	17,6	4,5	11,2

(სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წ. 30 ნოემბრის აღწერის ჯამები, ნაწილი 1, დემოგრაფია, ნაკვეთი 2, მოსახლეობა ეროვნების, წერა-კითხვის ცოდნისა და განათლების ცენზის მიხედვით, სტატისტიკის ცენტრალური სამართველო, ტფილისი, 1923 წ.).

1923 წლის სტატისტიკური მონაცემებით აღრიცხულია წერა-კითხვის მცოდნე აფხაზთა რაოდენობა თბილისში, გუდაუთაში, სოხუმსა და ბათუმში. აღნიშნულ ადმინისტრაციულ ადგილებში მცხოვრები **849 აფხაზიდან წერა-კითხვის მცოდნეა 461** (მამაკაცი - 332, დედაკაცი - 129, არმცოდნე - 381) და მათი უმრავლესობა (251 აფხაზი) ცხოვრობს სოხუმში. ამასთანავე, **461 აფხაზიდან 79-ს ქართულადაც შეუძლია წერა-კითხვა, ხოლო 393-ს რუსულადაც.**

1923 წლისთვის დაბალი საფეხურის სკოლა დაუმთავრებია 52 აფხაზს, საშუალო სკოლა - 54-ს, უმაღლესი სკოლა (ეს სახელი ინსტიტუტს და უნივერსიტეტს არ გულისხმობდა) - 18-ს, შრომის სკოლა - 78-ს, ტექნიკუმი - 6-ს, დანარჩენი ტიპის სკოლა - 8-ს, **სულ 92 აფხაზს მიუღია განათლება სხვადასხვა საფეხურის სკოლებში.** უმაღლეს სასწავლებელში არ ფიქსირდება არცერთი აფხაზი (მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, განყოფილება 1, ეროვნება, დედა ენა -წლოვანება- წერა-კითხვის ცოდნა, ა.ს.ფ.ს.რ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო, ტფილისი, 1929 წ.).

**1926 წელს წერა-კითხვა იცოდა აფხაზეთში მცხოვრებმა 6 110 აფხაზმა,** რომელთა უმრავლესობა იყო მამაკაცი - 4 935, ხოლო მათზე ბევრად ნაკლები იყო ქალი - 1 175.

წერა-კითხვის მცოდნე აფხაზთა რაოდენობა ენების მიხედვით ასე ნაწილდებოდა:

1. მხოლოდ აფხაზურად - 485;
2. მხოლოდ რუსულად - 1 894;
3. მხოლოდ ქართულად - 756;
4. დანარჩენ ენებზე - 57;
5. აფხაზურ-ქართულ-რუსულად -166;
6. აფხაზურ-ქართულად - 26;
7. აფხაზურ-რუსულად - 2 017;
8. ქართულ-რუსულად - 713.

აფხაზეთში 5 171 წერა-კითხვის მცოდნე აფხაზიდან ყველაზე მეტი აფხაზი ცხოვრობდა კოდორის მაზრაში - 2 029 კაცი), ყველაზე მცირე - სოხუმში (171), გალში - 1 491 და გუდაუთაში - 1 480.

ზემოთ დასახელებულ სტატისტიკურ გამოცემაში აღნუსხულია 1927 წელს აფხაზეთში არსებული სკოლები სწავლების ენების მიხედვით. სულ აღწერილია 300 სკოლა და 24 254 მოსწავლე.

ცხრილი 10. აფხაზეთის სკოლები სწავლების ენების მიხედვით. გვ. 56-57.

მაზრები და ქალაქები	აფხაზური		რუსულ-აფხაზური		სულ	
	სკოლა	მოსწ.	სკოლა	მოსწ.	სკოლა	მოსწ.
გაგრა	1	47			15	1 320
თვით გაგრაში					3	580
გუდაუთი	1	61	3	122	46	3 509
თვით გუდაუთაში					5	797
სოხუმი			5	307	156	10 691
თვით სოხუმში			2	199	16	3 760
კოდორში			12	813	35	3 403
ოჩამჩირეში			1	40	3	1 064
გალი			3	421	48	5 331
<b>სულ</b>	<b>2</b>	<b>108</b>	<b>26</b>	<b>1 663</b>	<b>300</b>	<b>24 254</b>

ენების მიხედვით	სკოლა	მოსწავლე
-----------------	-------	----------

აფხაზური	2	108
აფხაზურ-რუსული	26	1 663

(სტატისტიკური ცნობარი, 1927, პირველი გამოცემა, აფხაზეთის სსრ-ს სტატისტიკის სამმართველო, სოხუმი, 1928 წ. გვ. 4).

წარმოდგენილი ცხრილების მიხედვით ჩანს, რომ **1927 წელს აფხაზეთში არსებობდა 2 აფხაზური და 26 აფხაზურ-რუსული სკოლა**. 1 აფხაზური სკოლა იყო გაგრამი 47 მოსწავლით, ხოლო მეორე სკოლა გუდაუთაში - 61 მოსწავლით. აფხაზურ-რუსული სკოლებიდან 12 სკოლა ფუნქციონირებდა კოდორის მაზრაში (813 მოსწ.), 5 - სოხუმის მაზრაში (307 მოსწ.), 3 - გუდაუთში (122 მოსწ.), 3 - გალში (421 მოსწ.) და 2 - ქ. სოხუმში (199 მოსწ.). ორ აფხაზურ სკოლაში სწავლობდა სულ 108 მოსწავლე, ხოლო 26 აფხაზურ-რუსულ სკოლაში - სულ 1 663 მოწაფე. საერთო ჯამში ამ 28 სკოლაში აფხაზურად წერა-კითხვას ისწავლიდა 1 771 მოსწავლე და მათი აბსოლუტური უმრავლესობა, რა თქმა უნდა, იქნებოდნენ აფხაზები. ეს ციფრი ახლოსაა 1926 წლის სტატისტიკურ კრებულში მითითებულ მონაცემთან, რომლის მიხედვით აფხაზურად წერა-კითხვა შეეძლო 1 695 კაცს, ე. ი. ერთ წელიწადში 76-ით მეტმა აფხაზმა ისწავლა მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა.

აფხაზეთის სახელმეკრულებო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში არსებული ენობრივი ვითარების საყურადღებო აღწერას შეიცავს აფხაზი განმანათლებლის **ანდრია ჭოჭუას** მიერ შედგენილი საბუთი, რომელიც ინახება საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ფონდში (სეა, უიცა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640)]. ანდრია ჭოჭუა აფხაზეთის სსრ-ს განათლების სახალხო კომისარი იყო 1925-1931 წლებში. მისი ტექსტი წარმოადგენს გაწეული მუშაობის ანგარიშს სათაურით: „**საგანმანათლებლო მუშაობა ნაცუმცირესობათა შორის აფხაზეთის სსრ-ში**“.

მოხსენებაში წარმოდგენილი მონაცემებით 1920 წელს აფხაზეთში 146 სკოლიდან აფხაზური იყო 36, 248 მასწავლებლიდან აფხაზი იყო 36, ხოლო 10 468 მოსწავლიდან აფხაზი - 1 790 (სეა, უიცა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:2).

ის ფაქტი, რომ საბჭოთა პერიოდიდან ნამდვილად იმატა სასწავლო დაწესებულებებმა, არაერთი სტატისტიკური მონაცემით დასტურდება, მათ შორის ქვემოთ მოყვანილი ცხრილითაც:

#### სკოლათა რაოდენობა აფხაზეთში

სკოლები	გასაბჭოებამდე	1925-26 წწ.	1926-27 წწ.	1927-28წწ.
აფხაზური	36	46	49	56

(სეა, უიცა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:82).

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე აფხაზეთში ყველაზე მეტი იყო ქართული და აფხაზური სკოლები. გასაბჭოების შემდეგ კიდეც 20 აფხაზური სკოლა გაიხსნა და 1927-28 სასწავლო წლისთვის 56 გახდა. სწავლების მეორე საფეხურიდან პრაქტიკულად რუსულად მიმდინარეობდა სწავლება აფხაზურ სკოლებში. საბჭოთა ხელისუფლებას არც კი სჭირდებოდა ოფიციალურად რუსული სკოლების დამატებით გახსნა, ვინაიდან ე.წ. ეროვნულ სკოლებში ხელოვნურად იქმნებოდა გარემო იმისთვის, რომ განათლების ენად რუსული გამოეყენებინათ.

ს. ჭანბას მიერ შედგენილი საარქივო მასალაში 1929-1930 სასწავლო წლისათვის აფხაზეთის სსრ-ს სასკოლო ქსელი შემდეგნაირადაა ასახული:

295 ეროვნული სკოლიდან ყველაზე მეტია ქართული სკოლა - 83 ერთეული, შემდეგ სომხური - 77, თითქმის თანაბრადაა ბერძნული (54) და აფხაზური (52), რუსული (15), შერეული (7), ესტონური (3), თურქული (3) და გერმანული 1(სეა, უიცა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640, გვ. 24).

1928 წელს სოხუმში გამოცემული სტატისტიკური კრებულის მიხედვით 1927 წელს აფხაზეთში არსებობდა 2 აფხაზური და 26 აფხაზურ-რუსული სკოლა. ს. ჭანბას და ა. ჭოჭუას მიერ შექმნილ საანგარიშო მოხსენებებში მითითებულია, რომ იმავე პერიოდში აფხაზეთში მოქმედებდა 52-56 აფხაზური სკოლა (თითქმის ორჯერ მეტი). გაუგებარია, რატომ არის ასეთი განსხვავებული მაჩვენებლები ერთსა და იმავე პერიოდში შედგენილ მასალებში?!

ამრიგად, ჩვენ მიერ მოძიებული საკვლევი მასალების მიხედვით ირკვევა, რომ:

1. XX საუკუნის 20-იან წლებში აფხაზების დიდი უმეტესობა ცხოვრობდა აფხაზეთის სოფლებში და ძალიან მცირე იყო დაბა-ქალაქებში მცხოვრებ აფხაზთა რაოდენობა;

2. ამავე პერიოდში აფხაზთა უმრავლესობას დედა ენად აფხაზური მიაჩნდა;

3. სტატისტიკური მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ აფხაზებმა აფხაზურის გარდა, მეორე ენის სახით ნაკლებად იცოდნენ სხვა ენები;

4. საკვლევ პერიოდში აფხაზების ძალიან მცირე ნაწილმა იცოდა წერა-კითხვა, თუმცა მათ თავიანთ მშობლიურ ენაზე მეტად, წერა-კითხვა იცოდნენ რუსულ ენაზე. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ წერა-კითხვა მხოლოდ აფხაზურად სცოდნია 485 აფხაზს, წერა-კითხვა მხოლოდ რუსულად სცოდნია 1 894 კაცს და აფხაზურ-

რუსულად წერდა და კითხულობდა 2 017 კაცი, ე.ი. აფხაზების უმრავლესობას განათლება მიუღია რუსულ სკოლებში, ან ე. წ. „აფხაზურ სკოლებში“, სადაც მეოთხე კლასის შემდეგ სწავლება რუსულ ენაზე გრძელდებოდა.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული მასალების შეპირისპირებისა და ანალიზის შედეგად ჩანს, რომ 100 წლის წინ აფხაზები ჯერ კიდევ მასობრივად ფლობდნენ და მშობლიურ ენად აღიარებდნენ აფხაზურ ენას, თუმცა საბჭოთა პერიოდში არსებული ენობრივი პოლიტიკის გამო მათ მეორე ენად რუსულს არჩევინებდნენ და ამიტომ სასკოლო ან სკოლის შემდგომ განათლებას რუსულენოვან სასწავლებლებში იღებდნენ. აღნიშნული ფაქტი, რა თქმა უნდა, აფერხებდა აფხაზურის, როგორც სალიტერატურო, განათლებისა და კულტურის ენის განვითარებას, რამაც საბოლოოდ, აფხაზურ ენას გაქრობის პირას მყოფი ენის სტატუსი შესძინა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბიულეტენი N3-4, ტფილისი, 1922 წ.;
2. ა. თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბილისი, 1993 წელი;
3. ბ. ხორავა თავის სტატიაში „ეთნიკური პროცესები აფხაზეთში (უძველესი დროიდან დღემდე)“, <https://smr.gov.ge/uploads/Files/afxazeti.pdf>;
4. საქართველოს სტატისტიკური მოამბე, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანო, ტფილისი, ენკენისთვის, N1, 1921 წელი;
5. სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, ნაწილი II, დემოგრაფია, ნაკვეთი I. სოფლობრივი ჯამები. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო, თფილისი, 1926 წელი;
6. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, განყოფილება 1, ეროვნება, დედა ენა - წლოვანება - წერა-კითხვის ცოდნა, ა.ს.ფ.ს.რ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო, ტფილისი 1929 წელი;
7. სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წ. 30 ნოემბრის აღწერის ჯამები, ნაწილი 1, დემოგრაფია, ნაკვეთი 2, მოსახლეობა ეროვნების, წერა-კითხვის ცოდნისა და განათლების ცენზის მიხედვით, სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო, ტფილისი 1923 წელი;
8. სტატისტიკური ცნობარი, 1927, პირველი გამოცემა, აფხაზეთის სსრ-ს სტატისტიკის სამმართველო, სოხუმი, 1928 წელი;
9. სეა, უიცა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640;
10. სეა, უიცა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640.

